პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 1 სექტემბერი, 1943 წ. № 184 (6809). ფასი 20 კაპ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

31 აგვისტოს ოპერაციული ცნობა

ამ დღეებში დასავლეთის ფრონტის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ სმოლენსკის მიმართულებით, გაარღვიეს მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული თავდაცვა 50 კილომეტრზე მეტი სიგრძის ფრონტზე და წინ წაიწიეს 15-დან 30-მდე კილომეტრით. გუშინ, 30 აგვისტოს, ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს სმოლენსკის მიმართულების თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი — ქალაქი ელნია. ბრძოლების ოთხი დღის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს 170-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის რკინიგზის სადგურები—ტრენინო, კოროგბეცი, ჟდგლოვკა, კალოშინო, დოროგობუჟი (სევერნი) და გამაგრებული პუნქტები—ბელი ხოლმი, მიკიშკინო, იუშკოვო, ბივალკი, ილოვეცი, შაბიე, კამენეცი, კოშელევო, ვარაკსინა, პოროშანი, უვაროვა და რაიონული ცენტრი საფონოვო.

ამ დღეებში ცენტრალური ფრონტის ჯარებმა გაარღვიეს მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული თავდაცვის ზოლი სევსკის რაიონში 100 კილომეტრის სიგრძის ფრონტზე და მძაფრად განავითარეს რა შეტევა, წინწაიწიეს 60-მდე კილომეტრით და ჩრდილოეთ უკრაინის საზღვრებში შევიდნენ. გუშინ ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქები გლუხოვი და რილსკი. ბრძოლების ხუთი დღის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა გერმანელ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს 200-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის სუმის ოლქის რაიონული ცენტრი ჩერვონნოე, კურსკის ოლქის რაიონული ცენტრი კრუპეცი, რკინიგზის სადგურები—ხოლმოვკა, ესმანი, კლევენი.

სამხრეთის ფრონტის ჯარები ტაგანროგის რაიონში მოწინააღმდეგის გარშემორტყმული ნაწილების ლიკვიდაციას ამთავრებენ.

ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ხარკოვის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით უტევენ, კვლავ წაიწიეს წინ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

30 აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 96 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 44 თვითმფრინავი.

* * *

ამ დღეებში დასავლეთის ფრონტის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და გააფთრებული ბრძოლების შედეგად გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა 50 კილომეტრზე მეტი სიგრძის ფრონტზე. ჩვენმა ჯარებმა წარმატება განავითარეს და მიადგნენ გერმანელთა ახალ თავდაცვითს ზოლს, რომელიც მოწყობილია მდინარე უგრის გასწვრივ. ჩვენმა ქვეითმა, სატანკო და საარტილერიო ნაწილებმა გადაწყვეტი დარტყმით გასტეხეს გერმანელთა წინააღმდეგობა და დაიკავეს სმოლენსკის მიმართულების თავდაცვის უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი პუნქტი — ქალაქი ელნია. ბრძოლების რამდენიმე დღის განმავლობაში გერმანელ ოკუპანტთაგან განთავისუფლებულია 170-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. მოწინააღმდეგემ უდიდესი ზარალი ნახა. მარტო დღეს, ერთი დღის ბრძოლებში, მოსპობილია სულ ცოტა 5.000 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 56 ტანკი, 60 ქვემეხი და 200-ზე მეტი ავტომანქანა. წამოღებულია დიდი დაფლა და წამოყვანილია ტყვეები. ჩვენი ჯარების შეტევა გრძელდება.

ჩვენი ავიაცია აქტიურად ეხმარება სახმელეთო ჯარების შეტევას. დღეს საბჭოთა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში გერმანელთა 37 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

* * *

ცენტრალურ ფრონტზე ჩვენმა ჯარებმა მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული თავდაცვა გაარღვიეს სევსკის რაიონში და წარმატებით განაგრძობდნენ შეტევას. გუშინ ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქები გლუხოვი და რილსკი. ბრძოლების ხუთი დღის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს სუმისა და ოლქის რაიონული ცენტრი. ბრძოლების ხუთი დღის განმავლობაში დაკავებულია სუმისა და კურსკის ოლქების 200-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. მოწინააღმდეგე საბჭოთა ჯარების დარტყმების გამო უკან იხევს, ამასთან დიდი ზარალი მოსდის. მარტო ნაშენარის ნაწილებმა, რომლებიც სევსკის სამხრეთ-დასავლეთით მოქმედებენ, დღის განმავლობაში მოსპეს 3.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანეს და დასწვეს მოწინააღმდეგის 28 ტანკი და 7 თვითმავალი ქვემეხი. მათ ხელთ იგდეს გერმანელთა 8 ვაგონი ტანკი, 26 საველე და 4 თვითმავალი ქვემეხი, რამდენიმე საწყობი სამხედრო მასალა და სამხედრო ქონება. ტყვედ წამოყვანილია 800 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

სამხრეთის ფრონტზე ჩვენი ჯარები ტაგანროგის მოწინააღმდეგის განადგურებული დაჯგუფების ნაშთების ლიკვიდაციას ახორციელებენ. 6 შენაერთის მებრძოლებმა რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს და გერმანელთა ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი მოსპეს. წამოღებულია დიდი დაფლა, რომელშიც არის მრავალი ქვემეხი და ავტომანქანა. სხვა უბანზე საბჭოთა კავალერისტებმა მძაფრად მიეტანეს იერიში გერმანელთა ქვეითი ჯარებისა და ავტომანქანების დიდ კოლონაზე, რომლებიც ცდილობდნენ თავი დაეღწიათ გარემოცვისათვის. ბრძოლის შედეგად ჰიტლერელების მეტი ნაწილი მოსპობილ იქნა, დანარჩენები ტყვედ არიან წამოყვანილნი. ჩვენმა ქვეითნაყოფებმა ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის ავტომანქანები სამხედრო ტვირთიანად.

აზოვის ზღვაში ჩვენმა კატერებმა ჩასძირეს მოწინააღმდეგის ორი თვითმავალი კარჯანი და ერთი კატერი, ხელთ იგდეს ერთი ტრალური და კატერი მათი ეკიპაჟებიანად.

* * *

ხარკოვის დასავლეთით 6 შენაერთის ნაწილები შეტევას განაგრძობდნენ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. მოსპობილია ჰიტლერელთა ერთ ბატალიონამდე ჯარი, დაწვავრი და დაზიანებულია გერმანელთა 7 ტანკი და 2 თვითმავალი ქვემეხი.

ხარკოვის სამხრეთ-დასავლეთით მტერი წინასწარ გამზადებულ თავდაცვითს ზღვრულ ეყრდნობა და შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევს ჩვენს შემტევ ჯარებს. შუადღემდე ნაწილის მებრძოლებმა მტრის რამდენიმე კონტრიერიში მოიგერიეს. ჩვენმა მებრძოლებმა გერმანელები მოჰქანცეს, კონტრდარტყმით უკუაგდეს მოწინააღმდეგე, წინ წაიწიეს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ამ პუნქტებისათვის ბრძოლებში გაჟლეტილია 600 ჰიტლერელი. ხელთ ვიგდეთ 2 ჯავშნიანი მანქანა, 8 ქვემეხი, 39 ტყვიამფრქვევი და სამხედრო მასალის საწყობი. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა სნაიპერებმა მოწინააღმდეგის 200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლეტეს. არტილერიის ცეცხლით მოსპობილია მოწინააღმდეგის 8 ქვემეხი და 3 საღამმტყორცნო ბატარია, დანგრეულია 42 ძელმიწური საცეცხლე წერტილი და 5 სათვალთვალო პუნქტი.

ჩვენმა ავიაციამ ბომბების პირდაპირი მოზვედრებით აიფეთქა მოწინააღმდეგის ორი სარკინიგზო სამხედრო ეშელონი და სამხედრო მასალის საწყობი.

* * *

კიევის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი მოულოდნელად დაესხა თავს რაიონულ ცენტრში განლაგებულ გერმანელთა გარნიზონს. ხანმოკლე და გააფთრებულ ბრძოლაში მოწინააღმდეგე განადგურებულ იქნა. რამდენიმე გადარჩენილი გერმანელი ჯარისკაცი აქეთ-იქით გაიქცა. პარტიზანებმა მოსპეს მოწინააღმდეგის 14 ავტომანქანა, 30 საწვავი და დასწვეს საწყობი. რამდენიმე დღის შემდეგ რაზმმა სხვა სოფელში მოწინააღმდეგის კიდევ ერთი გარნიზონი გაანადგურა. პარტიზანებმა ხელთ იგდეს და მოსახლეობას დაურიგეს 200 ცენტნერი მარცვლეული და დიდძალი პირეული, რაც გერმანელებს წაერთმიათ გლეხებისათვის.

* * *

გერმანიის საინფორმაციო ბიურომ 30 აგვისტოს ზედიზედ გადასცა შემდეგი ცრუობანი: „იმის შემდეგ, რაც დანგრეულ იქნა სამხედრო მნიშვნელობის ყველა ობიექტი, გერმანიის ჯარებმა ქალაქი ტაგანროგი დასტოვეს ელასტიური თავდაცვის წესით...“. „ფრონტის ხაზის შესამოკლებლად საჭირო ღონისძიებათა ჩატარების მსვლელობაში, რაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მზადდებოდა, წუხელ გერმანიის ჯარებმა ბეგემთ დასტოვეს ქალაქი ტაგანროგი“.

მთელი ეს ბოდვა საუცხოოდ მოწმობს ჰიტლერელთა შეშფოთებას, რომელთაც თავგზა დაებნათ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე არა ერთი მარცხის გამო. უკანასკნელ დრომდე გერმანიის ჯარებს ფიქრად არ მოსდიოდათ ტაგანროგიდან წასვლა. პირიქით, ისინი აქ ღღითიდღე სულ უფრო აუმჯობესებდნენ თავიანთ თავდაცვას. წითელი არმიის ნაწილების გაბედული მანეერი, რის შედეგადაც გარშემორტყმულ და განადგურებულ იქნა გერმანიის ჯარების ტაგანროგის დაჯგუფება, იმდენად სწრაფად იქნა განხორციელებული, რომ მოწინააღმდეგემ ვერაფრის გატანა ვერ მოასწრო. გერმანელთა ტექნიკასა და სამხედრო მასალას, რაც ამ უბანზე იყო თავმოყრილი, ჩვენი ჯარები სპობენ ან ხელთ იგდებენ. გერმანიის ჯარებს, რომლებიც ჩვენი ჯარების რკალში აღმოჩდნენ, მართლაც სურდათ გაძვრომა. მაგრამ ამ რაიონში მარწუხში მოქცეულ გერმანელებს აღარსად აქვთ თუნდაც „ელასტიური თავდაცვის“ წესით გადანაცვლების ადგილი, ე. ი. ისინი ვერსად გაიქცევიან. წითელი არმია სულ უფრო და უფრო მჭიდრო რკალად ერტყმის და სპობს მოწინააღმდეგის განადგურებულ ტაგანროგის ჯგუფების ნაშთებს.

ჰიტლერელები განაგრძობენ ზღაპრების გამოგონებას „ელასტიური თავდაცვის“ შესახებ. მაგრამ ნაცემ ჰიტლერელთა ეს უხეში და ტლანქი სიცრუე უკვე აღარავის სჯერა

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ სოკოლოვსკის

ამ დღეებში დასავლეთის ფრონტის ჯარებმა გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვის ძლიერ გამაგრებული ზოლი, განავითარეს შეტევა სმოლენსკის მიმართულებით და გუშინ 30 აგვისტოს, დაიკავეს სმოლენსკის მიმართულების გზების ოპერატიულად მნიშვნელოვანი, დიდი კვანძი და თავდაცვის უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი პუნქტი — ქალაქი ელნია.

ქალაქ ელნიასთან წარმოებულ ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-მაიორ ბურდეინის გვარდიელმა ტანკისტებმა, გენერალ-ლეიტენანტ გორდოვის, გენერალ-მაიორ კრილოვის და გენერალ-ლეიტენანტ ტრუბნიკოვის ჯარებმა, ავიაციის მარშალ გოლოვანოვისა და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ გრომოვის მფრინავებმა.

ქალაქ ელნიასთან ჩვენი ჯარების მიერ მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად მიენიჭოს გვარდიის 29-ე წითელდროშოვან მსროლელ დივიზიას, 76-ე მსროლელ დივიზიას, გვარდიის 25-ე სატანკო ბრიგადას, გვარდიის 26-ე სატანკო ბრიგადას, გვარდიის 23-ე ცალკეულ სატანკო ბრიგადას და 119-ე ცალკეულ სატანკო პოლკს, რომელთაც თავი გამოიჩინეს ქალაქ ELNIASTHAN ბრძოლებში „ELNIAS“ სახელწოდება და ამიერიდან მათ ეწოდოთ:

ელნიას გვარდიის 29-ე წითელდროშოვანი მსროლელი დივიზია;
ელნიას 76-ე მსროლელი დივიზია;
გვარდიის ელნიას 25-ე სატანკო ბრიგადა;
გვარდიის ელნიას 26-ე სატანკო ბრიგადა;
გვარდიის ელნიას 23-ე ცალკეული სატანკო ბრიგადა;
ელნიას 119-ე ცალკეული სატანკო პოლკი.

დღეს, 31 აგვისტოს, 19 საათზე, ჩვენი დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით სალუტს მისცემს ასოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც გამარჯვება მოიპოვეს ქალაქ ELNIASTHAN.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისა და მანევრირების უნარისათვის მადლობას ვუცხადებ ყველა ჯარებს, რომელთაც თქვენ ხელმძღვანელობთ და რომელნიც მონაწილეობას იღებენ ოპერაციებში სმოლენსკის მიმართულებით. განსაკუთრებით აღვნიშნავ შემდეგი ნაწილების მარჯვე მოქმედებას:

გენერალ-მაიორ სტუჩენკოს ელნიას 29-ე გვარდიული წითელდროშოვანი მსროლელი დივიზიისას,

პოლკოვნიკ ბაბაიანის ელნიას 76-ე მსროლელი დივიზიისას,

პოლკოვნიკ შევჩენკოს გვარდიის ელნიას 25-ე სატანკო ბრიგადისას,

პოლკოვნიკ ნესტეროვის გვარდიის ელნიას 26-ე სატანკო ბრიგადისას,

პოლკოვნიკ კალინინის გვარდიის ელნიას 23-ე ცალკეული სატანკო ბრიგადისას,

პოდპოლკოვნიკ ლოსიკის ელნიას 119-ე ცალკეული სატანკო პოლკისას,

პოლკოვნიკ ლასკინის 63-ე მსროლელი დივიზიისას.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და ღირსებისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წ. 31 აგვისტო.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის X პლენუმი

30-31 აგვისტოს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის X პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორი საკითხი: „საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის დაყენება ამხანაგ სტალინის წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ გამოშვებასთან დაკავშირებით“ და „ნგარიში 1943 წლის 1 თებერვლიდან 1 აგვისტომდე პარტიაში მიღების შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ე. ჩერქეზია, რომელიც დაწვრილებით შეჩერდა ამხანაგ სტალინის წიგნის შესწავლის დარგში საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის, თბილისის რაიონული კომიტეტებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ღონისძიებებზე.

ქალაქის საწარმო-დაწესებულებებში ამხანაგ სტალინის წიგნის კოლექტიურად შესწავლის მსურველთათვის შექმნილია 436 წრე, რომლებშიც ჩაეწერა 10.000-მდე კაცი. წრეები ძირითადად უზრუნველყოფილი არიან პროპაგანდისტებით. პროპაგანდისტების, აგიტატორებისა და ამხანაგ სტალინის წიგნის შემსწავლელი კადრების დასახმარებლად ქალაქისა და რაიონულ პარტკაბინეტებში, აგრეთვე მთელ რიგ საწარმო-დაწესებულებებში სისტემატურად ტარდება კონსულტაციები, მოწყობილია ლიტერატურის გამოფენები, არის ამ ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები, გამოყოფილი არიან კონსულტანტები. პარტიის საქალაქო კომიტეტს პრაქტიკაში აქვს შემოღებული ლექციების წინასწარი განხილვა და რეცენზირება, საინსტრუქციო თათბირების ჩატარება, ლექტორთა კონსულტაცია და სხვ. მომხსენებელმა ამასთან ერთად აღნიშნა საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის გარდაქმნის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი: ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული აქტიის სწავლება, პროპაგანდისტთა, აგიტატორთა სემინარები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ, ბევრი პირველადი პარტიული ორგანიზაცია გატაცებულია წრეების შექმნით იქ, სადაც ეს საჭიროებით არ არის გამოწვეული, და ზოგჯერ არ ითვალისწინებს ამხანაგების სურვილს დამოუკიდებლად შეისწავლონ ამხანაგ სტალინის წიგნი. ამხ. ჩერქეზიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ლექციების ჩასატარებლად ორგანიზაციული მომზადების გაძლიერება, პოლიტიკური აგიტაციის მეტი დაკავშირება საწარმოს კონკრეტულ ცხოვრებასთან, აგიტატორებისადმი ხელმძღვანელობის გაუჯობესება და ძირეული პრესას მუშაობის ხარისხის ამაღლება.

მოხსენების გამო გაიმართა გაცხოველებული კამათი.

ამხ. ტოგონიძემ (საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანი) მოიყვანა მთელი რიგი მაგალითები და შეჩერდა ამხანაგ სტალინის ისტორიული გამოსვლებისა და ბრძანებების ინდივიდუალური შესწავლის საკითხებზე. მან მოიყვანა საპროპაგანდო მუშაობის დადებითი გამოცდილების დამახასიათებელი ფაქტები, ამასთან ერთად ხაზგასმით აღნიშნა საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის სუსტი გარდაქმნა ელექტროდენთში, № 3 აგურის ქარხანაში და მინის ქარხანაში. ამხ. ჩხეიძემ (საქ. სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი) თავის გამოსვლაში ილაპარაკა იმაზე, თუ სახალხო კომისარიატის აქტივი როგორ სწავლობს ამხანაგ სტალინის ისტორიულ წიგნს. ამხ. ლოლაძემ (საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანი) თავის გამოსვლაში დამსწრეთ გაუზიარა გამოცდილება ლექციების ორგანიზაციისა რაიონში, აღნიშნა ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს და რაიონის ზოგიერთი საწარმოს წრეების მეცადინეობის დაბალი ხარისხის ფაქტები. ამხ. იაროვა (საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე) შეჩერდა ამხანაგ სტალინის გამოსვლათა და ბრძანებათა ახსნა-განმარტების საქმეში აგიტატორების მუშაობის გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ საჭიროა გაძლიერდეს დახმარება ახალი პროპაგანდისტებისათვის, რომელთაც ჯერ კიდევ არა აქვთ საკმაო გამოცდილება. ამხ. მელოშვილმა (საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე) თავის გამოსვლაში ილაპარაკა სტალინური დოკუმენტების შესწავლაზე რაიონის მუშა-მოსამსახურეებისა და ინტელიგენციის დამოუკიდებელი მუშაობის გამოცდილების შესახებ. თბილისის სამაესწავლებლო ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. ბურუულაძემ თავის სიტყვაში ილაპარაკა ადგილებზე სალექციო მუშაობის ორგანიზაციაში არსებულ ნაკლოვანებებზე. ახალგაზრდობის სწავლების ორგანიზაციაში ლენინურ-სტალინური კომკავშირის ამოცანებზე ილაპარაკა საქართველოს ალკა თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. შენგელიამ. კომკავშირის აქტივის დასახმარებლად ტარდება ლექციები, ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები. მაგრამ კომკავშირის ბევრი კომიტეტი საკმაოდ არ მუშაობს ამ დიდმნიშვნელოვან საქმეზე. იმ მუშაობის შესახებ, რასაც საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისს კომიტეტის პარტკაბინეტი კადრების დამოუკიდებლად მუშაობის დასახმარებლად ატარებს, თავის სიტყვაში ილაპარაკა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პარტკაბინეტის გამგემ ამხ. ბაქრაძემ. ამხ. გრიგორიანი („ზარია ვოსტოკა“) შეჩერდა იმ ამოცანებზე, რომლებიც ამხანაგ სტალინის წიგნის შესწავლასთან დაკავშირებით დგას ჟურნალ-გაზეთებისა და გამომცემლობების წინაშე. ამხანაგ სტალინის წიგნის შესწავლის ორგანიზაციაში არსებულ ნაკლოვანებებზე თავის გამოსვლაში შეჩერდა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. ჟორჟიკაშვილი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. პ. შარიამ ხაზი გაუსვა ამხანაგ სტალინის წიგნის ისტორიულ მნიშვნელობას და შეჩერდა პარტიული ორგანიზაციების ცალკეულ ამოცანებზე კადრების პოლიტიკური სწავლების გაზლის დარგში. სტალინის წიგნის შესწავლის ძირითადი ფორმაა ჩვენი კადრების, აქტივის, საბჭოთა ინტელიგენციის დამოუკიდებელი მუშაობა მასზე. ჩამოყალიბებული წრეები ორი ტიპისა შეიძლება იყოს. ერთნი იმ ამხანაგებისათვის, რომელთაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლად მეცადინეობა, მეორენი იმათთვის, ვინც უკვე ბევრი რამ გააკეთა თავის ინდივიდუალურ სწავლაში და ისწრაფვის გაიღრმავოს ცოდნა ამხანაგურ დისკუსიებში და კოლექტიური ფიცადინეობით. მარტო შტატიანი პროპაგანდისტები, — ამბობს ამხ. შარია, — ვერ შესძლებენ თავი გაართვან მასებში პროპაგანდის ამოცანას. ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში ფართოდ უნდა აქნას ჩაბმული აქტივი. ხელმძღვანელი მუშაკები უფრო ხშირად უნდა გამოდიოდნენ მწრმოელთა წინაშე პოლიტიკურ საკითხებზე. რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, ჩვენს რაიონულ და ძირეულ პრესაში ცოტაა მწვავე კრიტიკული შენიშვნები, გაშლილი არ არის კონსულტაცია პროპაგანდისტებისა და აგიტატორების დასახმარებლად, გაზეთების რედაქციები არასაკმაოდ მუშაობენ გამოსაქვეყნებელი მასალების დამუშავების ხარისხზე. თბილისის პარტიულ ორგანიზაციას,—ამბობს ამხ. შარია,—რომელიც ამხ. ლ. პ. ბერიას მიერ აღზრდილია ლენინურ-სტალინური ტრადიციების „სულისკვეთებით და რომელსაც გააჩნია მომზადებული კადრები, შეუძლია საუკეთესოდ მოაწყოს და კიდევაც უნდა მოაწყოს ამხანაგ სტალინის წიგნის შესწავლა.

პლენუმის დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. შ. ჯაფარიძე.

მეორე საკითხზე გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ლუარსაბოვმა (საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის მდივანმა), ცქიტიშვილმა (ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი), ლორთქიფანიძემ (პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე), წერეთელმა (პარტიის კიროვის რაიკომის მდივანი), ჭკუასელმა (პარტიის ლენინის რაიკომის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილების გამგე).

მოსმენილ საკითხებზე პლენუმმა მიიღო სათანადო გადწყვეტილებანი.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ როკოსოვსკის

ცენტრალური ფრონტის ჯარებმა გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვის ძლიერ გამაგრებული ზოლი სევსკის რაიონში, 30 აგვისტოს მძაფრი შეტევით დაიკავეს ქალაქები გლუხოვი და რილსკი და ჩრდილოეთ უკრაინაში შევიდნენ.

გერმანელ დამპყრობთაგან ქალაქების—სევსკის, გლუხოვისა და რილსკის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ კოტრჩაგინის გვარდიელმა ტანკისტებმა, გენერალ-მაიორ რუდჩენკოს ტანკისტებმა, გენერალ-ლეიტენანტ ჩერნიახოვსკის, გენერალ-ლეიტენანტ ბატოვის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბოგდანოვის ჯარებმა და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ რუდენკოს მფრინავებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად იმ დივიზიებს, სატანკო და საარტილერიო შენაერთებს, რომელთაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი გლუხოვთან, რილსკთან და სევსკთან წარმოებულ ბრძოლებში, მიენიჭოს:

„გლუხოვის“ სახელწოდება:
გვარდიის 70-ე წითელდროშოვან მსროლელი დივიზია;
226-ე მსროლელ დივიზია;
23-ე სატანკო ბრიგადა;
გვარდიის 1-ლ საარტილერიო დივიზია.

„რილსკის“ სახელწოდება:
121-ე მსროლელ დივიზია;
112-ე მსროლელ დივიზია.

„სევსკის“ სახელწოდება:
69-ე წითელდროშოვან მსროლელ დივიზია;
მე-60 მსროლელ დივიზია;
103-ე სატანკო ბრიგადა;
43-ე მექანიზებულ ბრიგადა;
255-ე ცალკეულ სატანკო პოლკი;
68-ე საზარბაზნე საარტილერიო ბრიგადა;
მე-100 წითელდროშოვან დიდი სიმძლავრის საარტილერიო ბრიგადა, და ამიერიდან ეს შენაერთები იწოდებოდნენ:

გვარდიის გლუხოვის 70-ე წითელდროშოვანი მსროლელი დივიზია;
გლუხოვის 226-ე მსროლელი დივიზია;
გლუხოვის 23-ე სატანკო ბრიგადა;
გვარდიის გლუხოვის 1-ლი საარტილერიო დივიზია;
რილსკის 121-ე მსროლელი დივიზია;
რილსკის 112-ე მსროლელი დივიზია;
სევსკის 69-ე წითელდროშოვანი მსროლელი დივიზია;
სევსკის მე-60 მსროლელი დივიზია;
სევსკის 103-ე სატანკო ბრიგადა;
სევსკის 43-ე მექანიზებული ბრიგადა;
სევსკის 255-ე ცალკეული სატანკო პოლკი;
სევსკის 68-ე საზარბაზნე საარტილერიო ბრიგადა;
სევსკის მე-100 წითელდროშოვანი დიდი სიმძლავრის საარტილერიო ბრიგადა.

დღეს, 31 აგვისტოს, 20 საათსა და 30 წუთზე, ჩვენი დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ასოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს ქალაქები გლუხოვი, რილსკი და სევსკი.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისა და მანევრირების უნარისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ სევსკთან, გლუხოვთან და რილსკთან წარმოებულ ბრძოლებში, და პირველ რიგში:

პოლკოვნიკ გუსევის გვარდიის გლუხოვის 70-ე წითელდროშოვან მსროლელ დივიზიას;
პოლკოვნიკ პეტრენკოს გლუხოვის 226-ე მსროლელ დივიზიას;
არტილერიის გენერალ-მაიორ გოდინის გვარდიის გლუხოვის 1-ლ საარტილერიო დივიზიას;
პოლკოვნიკ დემიდოვის გლუხოვის 23-ე სატანკო ბრიგადას;
გენერალ-მაიორ ლადიგინის რილსკის 121-ე მსროლელ დივიზიას;
პოლკოვნიკ გლადკოვის რილსკის 112-ე მსროლელ დივიზიას;
პოლკოვნიკ ქუზოვკოვის სევსკის 69-ე წითელდროშოვან მსროლელ დივიზიას;
პოლკოვნიკ ბოგოიავლენსკის სევსკის მე-60 მსროლელ დივიზიას;
პოდპოლკოვნიკ ხალაევის სევსკის 103-ე სატანკო ბრიგადას;
გენერალ-მაიორ ბარინოვის სევსკის 43-ე მექანიზებულ ბრიგადას;
პოდპოლკოვნიკ მუხინის სევსკის 255-ე ცალკეულ სატანკო პოლკს;
პოლკოვნიკ ვასილიევის სევსკის 68-ე საზარბაზნე საარტილერიო ბრიგადას;
პოლკოვნიკ კუზნეცოვის სევსკის მე-100 წითელდროშოვან დიდი სიმძლავრის საარტილერიო ბრიგადას;
გენერალ-მაიორ ონუპრიენკოს გვარდიის მე-6 მსროლელ დივიზიას;
პოლკოვნიკ ლაშჩენკოს 322-ე მსროლელ დივიზიას;
პოდპოლკოვნიკ უგრიუმოვის 150-ე ცალკეულ სატანკო ბრიგადას;
პოლკოვნიკ პეგოვის 1178-ე გამანადგურებელ ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკს

და ავიაციის გენერალ-მაიორ დენისოვის, ავიაციის გენერალ მაიორ ანტოშინის, ავიაციის გენერალ-მაიორ კარაპეტაკის, პოლკოვნიკ კომაროვისა და პოლკოვნიკ ბუგელევის ავიაშენაერთთა მფრინავებს.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

31 აგვისტო, 1943 წ.

ბრძანებაღება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ს. ნ. მაჭავარიანის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ამხ. სიმონ ნიკოლოზისძე მაჭავარიანი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ზ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1943 წ. 31 აგვისტო, ქ. თბილისი.

ᲞᲣᲠᲘᲡ ᲩᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲡ

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ, 30 აგვისტო (საქდესი). უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძანებით აღმოსავლეთ საქართველოს ახალციხის რაიონის კოლმეურნე კაცები და ქალები თავდადებულად მუშაობენ საკოლმეურნეო მინდვრებში. 28 აგვისტოსათვის—ვადამდე ერთი თვით ადრე მათ შეასრულეს პურის ჩაბარების წლიური გეგმა. მთლიანად შესრულებულ

ჯაგანროგი კვლავ საბჭოთა ქალაქი გახდა

დღეს ყველა ცენტრალური გაზეთი იუწყება უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძანებით, სადაც მადლობა გამოეცხადა იმ ჯარებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ოპერაციაში: გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთაგან ქალაქ ტაგანროგისა და როსტოვის ოლქის განთავისუფლებისათვის.

უმაღლესი მთავარსარდლის ამ ბრძანებიდან მთელმა საბჭოთა ხალხმა, მთელმა მსოფლიომ შეიტყო, რომ გერმანელები განადგურებულები არიან ტაგანროგთან. ისინი სამუდამოდ განდევნილი არიან როსტოვის ოლქიდან ჩვენი საკავალერიო და სატანკო ნაწილების მიერ განხორციელებული გმანადგურებელი რეიდის შედეგად.

დაეცა გერმანელთა აზოვის ციხე-სიმაგრე. ტაგანროგი აღსდგა და კვლავ საბჭოთა ქალაქი გახდა.

განთავისუფლებული ქალაქის პატივსაცემად სალუტს იძლეოდნენ მოსკოვის ზარბაზნები, და მწვანე რაკეტების კონები ავარდა მოკრიალებულ ცაში. დედაქალაქის მოედნებზე, ტროტუარებზე, ყველა ბალკონზე, სახლების სახურავებზე ადამიანები სიხარულით იცქირებოდნენ მაღლა და უსმენდნენ სალუტის გამოზომილ, მძიმე ტაქტებს.

ტაგანროგის აღების ამბავმა ხალხის უდიდესი აღტაცება გამოიწვია როსტოვში.

„იზვესტიას“ კორესპონდენტი როსტოვიდან იუწყება:

ძნელი გამოსათქმელია, რა სიხარულმა მოიცვა როსტოველები, როდესაც რადიომ გადმოსცა სიტყვები ამხანაგ სტალინის ბრძანებისა წითელი არმიის ახალი გრწყინვალე გამარჯვების შესახებ. ხალხი ჰაერში ქუდებს ისროდა. შორს ეფინებოდა სიტყვები ამხანაგ სტალინის ბრძანებისა, რომელიც მადლობას უცხადებს სამხრეთის ფრონტის მამაც ჯარებს—ტაგანროგის სახელოვან დივიზიებს.

დიდხანს არ იშლებოდა ქუჩებში ათასობით შეკრებილი ხალხი. ხოლო ამ დროს როსტოვის განიერი ქუჩებით ტაგანროგში მიემართებოდა მანქანების წყებები. როსტოველები უგზავნიდნენ განთავისუფლებულ ძმებს ფქვილსა და ბრინჯს, კარაქსა და შაქარს, კონსერვებსა და ყველს, გამომცხვარ პურსა და თევზს.

ტაგანროგში გაემგზავრნენ საოლქო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექიმები, მედიცინის დები, ვაჭრობის მუშაკები, გაზეთ „ტაგანროგსკაია პრავდის“ რედაქციის მუშაკები.

* * *

ცენტრალური გაზეთები დღეს აქვეყნებენ მრავალ გამოხმაურებას ტაგანროგის აღებაზე.

საკ. კ. პ. (ბ) როსტოვის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. დვინსკიმ „იზვესტიას“ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

ამჟამად როსტოვში მიმდინარეობს საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის პლენუმი პარტიის რაიკომების მდივანთა და რაიაღმასკომების თავმჯდომარეთა მონაწილეობით. პლენუმის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სამხრეთის ფრონტის მებრძოლებისა და ოფიცრებისადმი, ტაგანროგის მშრომელებისადმი და მისასალმებელი დეპეშა დიდი სტალინისადმი.

* * *

გადმოსცემს რა დაწვრილებითს ცნობებს ტაგანროგის აღების შესახებ, „კრასნაია ზვეზდა“ სამხედრო კორესპონდენტი ამბ. გლებოვი სწერს:

მტერმა სცადა ზღვით მოეხდინა თავისი ძალების ევაკუაცია. ზღვითვე აპირებდა მოწინააღმდეგე ახალი ძალების გადმოყვანას ტაგანროგის რაიონში. მაგრამ მან ვერც ერთი შესძლო და ვერც მეორე. ჩვენმა ბომბდამშენებმა და მოიერიშე თვითმფრინავებმა მოწინააღმდეგის ეს გეგმებიც ჩაფუშეს. ნაშთები მოწინააღმდეგის ტაგანროგის დაჯგუფებისა, რომელიც განადგურებულ იქნა ტაგანროგისათვის წარმოებულ ბრძოლებში. ახლა გარშემორტყმული არიან ჩვენი ნაწილების მიერ. აქ შეუპოვარი ბრძოლები სწარმოებს. ნ შენაერთის ჯარები განაგრძობენ მტრის ნაწილების ნაშთების მოსპობას.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

სახელოვანი ბრძოლების წლისთავი

(„კომუნისტის“ სპეც. კორესპ.)

ამ დღეებში ნ შენაერთმა აღნიშნა თავისი სახელოვანი ბრძოლების წლისთავი. ერთი წლის წინათ შობლიური კავკასიონის მთავ ძირებში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების შვილებთან ერთად სალ კლდესავით აღიმართნენ ქართველი ხალხის ღირსეული შვილები. მათ თავიანთი მშობელი ქვეყნის წიაღში მიიღეს საბრძოლო წრთობა და საზეიმო ფიცით ჩაიბარეს საბრძოლო დროშა. დიდი სტალინის ისტორიული მოხსენებებითა და ბრძანებებით აღფრთოვანებულნი და გამხნევებულნი მიდიოდნენ ბრძოლაში ჩვენი წითელარმიელები, ოფიცრები და პოლიტმუშაკები გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა გასანადგურებლად და არა მარტო შეაჩერეს მტერი, არამედ მძლავრი იერიში მიიტანეს, გმანადგურებელი დარტყმები აგებეს და უკუაქციეს ისინი.

კავკასიონის მისადგომებთან გამართულ ბრძოლებში ჩვენმა მეომრებმა გვიჩვენეს მაღალი სამხედრო მომზადებისა და გაწრთვნილობის, სამშობლოსათვის, სტალინისათვის თავდადებისა და გმირობის უბადლო ნიმუშები. ქეშმარიტი გმირობა და ვაჟკაცობა გამოიჩინეს კაპიტანმა ვლადიმერ ლურსმანაშვილმა და კაპიტანმა ალექსი პირმისაშვილმა. სამშობლომ ღირსეულად დააფასა მათი საგმირო საქმეები და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მათ სსრ კავშირის გმირთა სახელი მიენიჭა.

თავგანწირვით იბრძოდნენ უფროსი სერჟანტი ო. მგალობლიშვილი, უმცროსი სერჟანტი ვ. კალანდია, წითელარმიელები ფხალაძე და ბლუაშვილი, უმცროსი სერჟანტი კაკაურიძე, უფროსი სერჟანტი ჭანუყვაძე, წითელარმიელები ბუიანავა და დაუშვილი და მრავალი სხვა. მათი გმირობა და თავდადება საბჭოთა მთავრობამ უმაღლესი ჯილდოთი—ორდენებითა და მედლებით აღნიშნა.

არა მარტო მშობლიური საქართველო, არამედ მთელი საბჭოთა ხალხი სიყვარულით შეინახავს საბჭოთა კავშირის გმირის პოლიტხელ ვლადიმერ კანკავაძისა და ლეგენდარულ კაპიტან ბუხაიძის სახელებს, რომლებიც გმირთა საკვდილით დაეცნენ ფაშისტ ურჩხულთან ბრძოლაში.

„მე ქართველი ბუხაიძე“.. თაობიდან თაობას გადაეცემა მასზე შექმნილი ეს წარმტაცი სიმღერა. უჭკნობი სახელითა და სამუდამო შარავანდედით შემოსილს თავიანთი სახელი პოლიტხელმა შუბითიძემ და ხვედელიძემ, უმცროსმა ლეიტენანტმა სარიშვილმა, სერჟანტმა ბერიამ და სხვებმა, ვინც გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. საუკუნო დიდება გმირებს, დაღუპულთ სამშობლოს თავისუფლებისა და ღირსებისათვის ბრძოლაში!

აღნიშნავენ რა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ თავიანთი ბრძოლების წლისთავს, ნ შენაერთის მებრძოლები და მეთაურები ერთი წუთითაც არ ივიწყებენ, რომ ჯერ კიდევ წინ არის შეუპოვარი. სასტიკი ბრძოლები მტრის, სბოლოო მოსპობისათვის. შესანიშნავი საბრძოლო წარსული მათ ახალ საგმირო საქმეებისაკენ მოუწოდებს.

საწარმოო აღმავლობა ჭყიბულის მაღაროებში გრძელდება

ტყიბული, 30 აგვისტო („კომუნისტის“ საკ. კორ.). ტყიბულის შახტებსა და მაღაროებში კვლავ გრძელდება საწარმოო აღმავლობა.

სტალინის სახელობის მაღაროს (უფროსი ნ. კვინხიძე) უდიდესი სამუშაოები ჩაატარა სემიგოლოსელების საშუალებით. მეორე უბანში (უფროსი ს. გაბრაიძე) სექტემბერში უნდა დამთავრებულიყო მეექვსე ფენის ქვანახშირის 4 ახალი სანგრევის მომზადება, რაც საშუალებას იძლევა ქვანახშირის ამოღება გადიდდეს დღეში 75 ტონამდე. ამ სანგრევების ხაზის საერთო სიგრძე 110 მეტრს შეადგენს. უბნის კოლექტივმა ამ დიდი სამუშაოს შესრულება უკვე 30 აგვისტოს დაამთავრა. სემიგოლოსელები ს. ლანჩავა და ტ. ხორხომელიძე, რომლებიც მეექვსე ფენის ახალი საექსპლოატაციო სანგრევების მომზადებაზე მუშაობდნენ, ორ-ორი მეტრის ნაცვლად 6-7 მეტრს გადაიოდნენ ყოველდღიურად 3-4 სანგრევში მუშაობით. ასეთი მუშაობის შედეგად სტალინის სახელობის მაღაროს, რომ აგვისტოს 28 დღეში სამთო-მოსამზადებელი სამუშაოების გეგმა შეასრულა 192 პროცენტით, ხოლო წმენდითი სამუშაოების 29 დღის გეგმა—101,8 პროცენტით.

ლენინის სახელობის მაღაროში სემიგოლოსური მოძრაობის დაწყებამდე 6-დან მხოლოდ 2 უბანი ასრულებდა გეგმას, ახლა კი ყველა ასრულებს. აგვისტოს 29 დღის გეგმა ნ. დურმიშიძის უბანმა 130 პროცენტით შეასრულა, გ. ფანჩულაძის უბანმა—138 პროცენტი, გ. ჩიტაშვილის უბანმა—119,8 პროცენტი, ნ. ცერცვაძის უბანმა—102,3 პროცენტი. ცვლებმა ა. ცირკიძისა და ი. გაბრაიძის ხელმძღვანელობით 30 აგვისტოსათვის გეგმები შეასრულეს 135-146 პროცენტით. ცნობილმა სემიგოლოსელმა ამხ. ბიძინა თოდიძემ 29 დღეში ნაცვლად 28 მეტრისა სანგრევი ხაზი წინ წასწია 124,9 მეტრით, რითაც ნორმა შეასრულა 446 პროცენტით.

30 აგვისტოსათვის ლენინის სახელობის მაღაროს გეგმის ზევით ამოღებული ჰქონია 1.434 ტონა ქვანახშირი.

დიდად გააუმჯობესა მუშაობა დასავლეთის შახტმა, რომელმაც დღიური გეგმა შეასრულა 26 აგვისტოს 120 პროც., 27 აგვისტოს—125 პროც., 28 აგვისტოს—122,5 პროც. ხოლო 29 აგვისტოს—125 პროცენტით.

მთლიანად ტყიბულქვანახშირის ტრესტმა, დაფარა რა წინა დღეების დანაკლისი, 30 აგვისტოსათვის თვიური გეგმა შეასრულა 103,4 პროცენტით.

დ. საბელაშვილი

ალექსანდრე აბაშელი

ჯ ა გ ა ნ რ ო გ ი

ჯერ ხარკოვის მძლავრი ბუკი
კიდევ სძრავდა კიდით-კიდეს,
რომ ახალი ელვის შუქი
ცას დროშებად ჩამოჰკიდეს.

მტერმა ვეღარ აირიდა
ჩვენი ჯარის დარტყმის ძალა,
და აზოვის ნაპირიდან
ტაგანროგმა იგრიალა.

კვლავ მოსკოვი ზეიმს მართავს,
კვლავ გუგუნებს ქვემეხთ გუნდი.
დაუბრუნდა ქვეყნის კალთას
მოწყვეტილი იაგუნდი.

ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ჯაგანროგი

სამხრეთის ფრონტი, 30 აგვისტო (საკდესის სპეც. კორ.). დღეს გაფთრებული ბრძოლების შედეგად ჩვენმა ჯარებმა გაანადგურეს გერმანელთა ტაგანროგის დაჯგუფება და დაიკავეს ქალაქი ტაგანროგი. ჰიტლეელ დამპყრობთაგან განთავისუფლებულია საბჭოთა ქვეყნის კიდევ ერთი დიდი სამრეწველო ცენტრი. სამხრეთის მშვენიერი სანაპიროდ ქალაქი კვლავ საბჭოთა ქალაქი გახდა.

22 თვეზე მეტ ხანს იმყოფებოდა ტაგანროგი გერმანელთა უღელქვეშ. მტერმა გამოიყენა ქალაქისა და ნავსადგურის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და აქ თავისი ერთ-ერთი ბაზა შეჰქმნა. ქალაქში განლაგებული იყო ზურგის დაწესებულებები, შტაბები, საწყობები. გზატკეცილთა განშტოებული ქსელი, რომელიც ზღვიდან ჩრდილოეთისაკენ მიემართება, და რკინიგზა, რომელიც ტაგანროგს დონბასის ცენტრთან აერთებს, თავდაცვის უმნიშვნელოვანეს კვანძად ხდიდა ამ ქალაქს გერმანელებისათვის. ტაგანროგზე მოემართებოდა ტრანსპორტის ნაკადები საწყავით, სურსათით, აქედანვე ჰიტლერელი ოკუპანტები გერმანიაში გზავნიდნენ დონბასსა და აზოვის ზღვის პირის მხარეში ნაძარცვ ფასეულობებს.

ქალაქის ხელში ჩაგდების შემდეგ სულ უკანასკნელ დღეებამდე გერმანელთა სარდლობა განუწყვეტლივ ამაგრებდა თავის ზღვედებს ტაგანროგის მისადგომებზე და მისგან შორსაც—მდინარეებზე სამბეკსა და მიუსზე. ამ მდინარეთა ნაპირების დიდ მანძილზე თავდაცვითი ნაგებობანი იქმნებოდა.

ტაგანროგის პლაცდარმი უხვად იყო აღჭურვილი საფორტიფიკაციო ნაგებობათა უდიდესი რაოდენობითაც. ქალაქი გადაქცეული იყო მძლავრ დასაყრდენ პუნქტად. განსაკუთრებით ძლიერ გამაგრებული იყო მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი მისადგომები. უკანელეს დასახლებულ პუნქტებში მტერმა შეჰქმნა წინააღმდეგობის კვანძები, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული იყო ღრმა სანგრებით და განშტოებული სანგარსასვლელებით.

ზოგიერთ უბანზე მოწინააღმდეგემ მოაწყო სპეციალური სანგრები, რომლებზეც მოძრაობდნენ ავტომანქანები მოხეტიალე საცეცხლე წერტილებით. ქალაქის მისადგომები შემოსალტული იყო ტანკსაწინააღმდეგო თხრილებით, რომლებიც ტაგანროგის ჩრდილოეთ კიდეს მიუყვებოდა. ქალაქში და სანაპირო რაიონებიდან გერმანელებმა გამოდევნეს მცხოვრებნი ქვითკირის სახლებიდან და სახლები ხანგრძლივ საცეცხლე წერტილად გადაქციეს. მოწინააღმდეგის წინა კიდის გადალახვისას დიდ დაბრკოლებებს წარმოადგენენ ფართო დანაღმული ველები, რომლებიც მჭიდროდ დაკავშირებული იყო ერთმანეთთან მავთულეობრების ქსელით. გერმანელთა თავდაცვის ყველა მისადგომი გამიზნული იყო საართილერიო და სანაღმტყორცნო ცეცხლით. ზღვიდან თავის ზღვედებს გერმანელები ჯავშნიანი კატერების ცეცხლით იფარავდნენ.

ჩვენმა მოტომექანიზებულმა ნაწილებმა გაარღვიეს მტრის თავდაცვა ტაგანროგის ჩრდილოეთით და დაიწყეს დიდი ოპერაცია, რათა ხელში ჩაეგდოთ ქალაქი. ამავე დროს დაიწყო შეტევა ფრონტიდანაც. ამსხვრევდნენ რა მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას, საბჭოთა საკავალერიო და მექანიზებული ქვეგანაყოფები გაიჭრნენ გერმანელთა ჯარების ზურგში და დაიკავეს მრავალი დასახლებული პუნქტი, მათ შორის რაიონული ცენტრებიც. ჩვენმა ჯარებმა აზოვის ზღვის სანაპიროს მიაღწიეს და დამთავრეს ტაგანროგის დაჯგუფების გარშემორტყმა.

ნ ნაწილის მებრძოლებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის გამაგრებულ ზოლზე ქალაქის კიდლებთან. საბჭოთა ჯავშნიანმა მატარებლებმა, საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარეებმა ცეცხლი დაატეხეს თავს მტრის თავდაცვას. მთელი ფართობი, რაც მოწინააღმდეგის ამ ვიწრო უბანზე ეჭირა, დაფარული იყო ყუმბარებისა და ნაღმების აფეთქებით. ცეცხლის ზვირთს ჩვენი ქვეითი ჯარი მიჰყვებოდა. მესანგრენი დანაღმულ ველებზე გასასვლელებს სწმენდნენ. გვარდიის არტილერისტები ღია პოზიციებიდან ანადგურებდნენ ფაშისტთა საცეცხლე წერტილსა და თავდაცვითს ნაგებობებს. ტაგანროგისათვის ბრძოლის პირველ საათებშივე, გვარდიის სერჟანტმა ტროშინმა პირდაპირი დამიზნებით მოსპო ოთხი ხანგრძლივი საცეცხლე წერტი, გვარდიის სერჟანტმა გოროხოვმა ოთხი ხანგრძლივი საცეცხლე წერტი დაამსხვრია.

არტილერიისა და ჯავშნიანი მატარებლების ცეცხლი მთელ დღე-ღამეს არ შეწყვეტილა. უფროს ლეიტენანტ ტაბაულის ქვემეხთა გუნდებმა მტრის სანაღმტყორცნო ბატარეა მოსპეს. გვარდიის უფროს ლეიტენანტ ხაბიბულინის არტილერისტებმა მოწინააღმდეკის მეორე ბატარეა გაანადგურეს. როცა ზღვიდან სროლა ასტეხეს გერმანელთა კატერებმა, უფროს ლეიტენანტ ფიშმანის ჯავშნიანი მატარებლის კოშკურებმა ქვემეხები იქით მიაბრუნეს და ზუსტი ზალპებით აიძულეს მტრის კატერები უკან დაეხიათ. უეცარი დარტყმებით ჩვენს ტანკისტებს მწყობრიდან გამოჰყავდათ მტრის საცეცხლე საშუალებანი და ალეტდნენ მის ცოცხალ ძალას.

საბჭოთა ქვეითი ჯარის, ტანკებისა და არტილერიის დარტყმების შედეგად მტერი იძულებული იყო ზედიზედ დაეტოვებინა ზღუდეები. ჩვენი ავიაცია მოწინააღმდეგის უკანდახეულ ავტოკოლონებს სპობდა. გერმანელები უდიდესი ზარალი მოსდიოდათ. ფაშისტური არმიის უკანდახევის გზა მოფენილია მოსპობილი ტანკებით, ავტომანქანებით, ქვემეხებით და მტრის სხვა ტექნიკით. ტაგანროგისათვის ბრძოლების მსვლელობაში საბჭოთა მებრძოლებმა ათასობით ჰიტლერელები მოსპეს. მოწინააღმდეგის განადგურებული დაჯგუფების ნაწილია ნაშთებს ჩვენი ჯარები გარს შემოერტყნენ და სპობენ.

დაიკავეს რა ქალაქი ტაგანროგი და 150-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის რაიონული ცენტრები ანასტასიევკა და ფედოროვკა, ჩვენმა ჯარებმა საესებით გაათავისუფლეს როსტოვის ოლქი ფაშისტ დამპყრობთაგან.

ბ. აფანასიევი

ხარკოვშჩინის სოფლებში

მოქმედი არმია, 30 აგვისტო (საკდესის სპეც. კორ.). საბჭოთა ჯარები მიდიან უკრაინის ვრცელი მშობლიური მინდვრებით. მათი გზა დასავლეთისაკენ მიდის ხარკოვშჩინის ახლახან განთავისუფლებული სოფლების გვერდით. სოფლებიდან ევაკუირებულ-და გადარჩენილა გერმანელ ფაშისტთა ჯარების უკანდახევის დროს. ბედმა გაუღიმა მხოლოდ იმ სოფლებს, რომლებიც გზატკეცილიდან განზე მდებარეობენ.

ხუტორი ლუქოკი. ხუთი შეთეთრებული ქოხი ობლად დგას ამას წინათ გადაბუბული ფარდულებისა და ბეღლების ჩაშავებული ჩონჩხების გვერდით. ხევის ზემო კალთებზე მწვანედ ბიბინებენ ბაღჩები, და შორს-შორს შავად მოსჩანს ტყის ზოლი, რაც ამ მხარეში იშვიათია. იქ ემალებოდნენ უკრაინელები გერმანელებს. გადარჩენილ ქოხებს აჩნევიათ ყუმბარის ნამსხვრევების ნაკვალევი. ნაშუადღევს სუნი ჯერ კიდევ დგას მთელ ხუტორში. ხუტორიდან უკანდახევის დროს ფაშისტმა ბანდიტებმა მას ცეცხლი წაუკიდეს. გერმანელი ჯარისკაცები სახლებსა და ფარდულებს ბენზინს ასხამდნენ, ანთებული ჩირაღდნებით ჩალას ცეცხლს უკიდებდნენ და გარბოდნენ. მათ ცეცხლს მისცეს გლეხთა მთელი ქონება. ამ სოფლის მცხოვრები, ოთხმოცდაათ წელს გადაცილებული გრიგოლ ეელტონოგი გერმანელებმა ფარდულში დაამწყვდიეს. ფარდულს მათ ცეცხლი წაუკიდეს. მოხუცი ცდილობდა გარეთ გამოსულიყო. პატარა გოგონამ, მისმა შვილიშვილმა, პაპის გადასარჩენად ფარდულთან მიირბინა, მაგრამ გერმანელებმა იგი განზე გაათრიეს და სასტიკად სცემეს. მოხუცი დაიწვა.

ცოტა მოშორებით მდებარეობს სოფელი პრუდიანკა. აქ ცოტაოდენმა დარჩენილმა მცხოვრებლებმა გვიამბეს საშინელი ტრაგედიის შესახებ, რაც უკრაინის ამ პატარა სოფელში დატრიალდა. 1943 წლის მარტში გერმანელებმა მთელ მოზრდილ მოსახლეობას უბრძანეს გამოცხადებულიყვნენ კოლმეურნეობის ბოჩაროვის სახლში ვითომდა სამუშაოდ გასაგზავნად. მივიდა 36 კაცი. ღამით, 11 და 12 საათს შუა, ყველა შეკრებილი ბოსტანში გაიყვანეს და დახვრიტეს. უდანაშაულოდ დასჯილთა შორის იყო 60 წლის გლეხი რიაბოვოლი და მისი 14 წლის შვილიშვილი, ხარკოველი მუშა ეგორ შევჩენკო და მისი შვილი ნიკოლაზი. ასე ხდებოდა ყოველ ნაბიჯზე. 70 ახალგაზრდა ქალიშვილი და ჭაბუკი გაირეკეს ჰიტლერელებმა მონობაში ბოგოდუხოვის რაიონის სოფელ დმიტროვკიდან. მათგან ყველაზე უმცროსი 16 წლისა იყო.

ყოველდღე აშკარავდება ფაშისტთა მზეკლიბის ახალი ფაქტები. უკრაინის მიწა შურისგებისაკენ მოგეწოდებს!

ი. დენისოვი

შინაპოლიტიკური მდგომარეობის გამწვავება გერმანიაში

გერმანიის არმიის უკანასკნელმა დამარცხებებმა მდგომარეობა გაამწვავეს ჰიტლერულ „საშინაო ფრონტზეც“. ამას მოწმობს ადგილების შეცვლა, რაც მოხდა გერმანიის მთავრობის შემადგენლობაში, კერძოდ ჰიმლერის რწმუნებათა კიდევ უფრო გაფართოება.

უკვე თავის ახალ დანიშვნამდე ჰიმლერმა თავის ხელში მოიკრიბა უდიდესი ძალაუფლება. მას ემორჩილება პოლიციის მთელი აპარატი, მათ შორის „აიდუმლო პოლიციაც—ყბადაღებული გესტაპო. მას აქვს საკუთარი სამხედრო ფორმირებანი—„სს“-ელთა დივიზიები, რომლებიც გერმანიის არმიის რეგულარულ ნაწილებთან ერთად მოქმედებენ ფრონტზე, აგრეთვე საგარნიზონო სამსახურს ეწევიან ოკუპირებულ ქვეყნებში. მისი მოღვაწეობის სფეროში შედის აგრეთვე ხელმძღვანელობა გერმანელთა კოლონიზაციისა დაპყრობილ ტერიტორიებზე. ახლა, გერმანიისა და პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრად, აგრეთვე გერმანიის ადმინისტრაციის გენერალურ რწმუნებულად ჰიმლერის დანიშვნის შემდეგ, მას უკავია ყველაზე გავლენიანი მდგომარეობა სახელმწიფო აპარატში ჰიტლერის შემდეგ.

უკანასკნელ თვეებში, სტალინგრადთან კატასტროფის დროიდან, ჰიმლერი იძენდა სულ უფრო და უფრო მეტ გავლენას ჰიტლერზე. იგი ხელმძღვანელობდა გერმანიის გენერალიტეტის წმენდას. როდესაც ჰიტლერმა გადაყენა გენერალური შტაბის უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი ჰალდერი, იგი შეცვლილ იქნა ჰიმლერის კაცით—გენერალ ციტაცლერით. ჰიმლერს აქვს თავისი შტაბ-ბინაკი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. როგორც „სს“-ელთა ჯარების უფროსს, ჰიტლერი მას ეთათბირება სამხედრო საკითხების გადაწყვეტის დროს. „სს“-ელთა დივიზიები ყველაზე საიმედოდ და მტკიცედ ითვლებიან. მათი დაკომპლექტება ხდება თავზე ხელაღებული არამზადებისაგან და ისინი წარმოადგენენ ჯალათების ბანდას. წითელმა არმიამ უკვე საკმაო რაოდენობით მოსპო ჰიმლერის ეს გამოზრდილნი. ამიტომ ჰიტლერული სარდლობა ახლა ძლიერ უფრთხილდება „სს“-ელთა დივიზიებს. იგი მათ ბრძოლის ყველაზე უფრო არიტიკულ მომენტებში ამოჩქმედებს ხოლმე.

საინფორმაციო ბიულეტენში „რაიხსდინსტ ინფორმაციონსგერიხტ სს“, რომელიც „სს“-ელთა ჯარების უმაღლესი მეთაურთა შემადგენლობაზე ინაური ადმინისტრაციის დამორჩილებისა გესტაპოს კონტროლისათვის. თვით გერმანიის პრესა ჰიმლერის დანიშვნას კომენტარს უკეთებს იმ აზრით, რომ იგი „წინაპირობებს ქმნის ძალთა შემდგომი კონცენტრაციისათვის საშინაო ფრონტზე“.

გესტაპოს უფროსის ჰიმლერის ხელში ჰიტლერული სახელმწიფო აპარატის ყველა ბერკეტის გადაცემა ნიშნავს, რომ ომის მეზუთე წლის მიჯნაზე გერმანია შედის იმ კრიტიკულ სიტუაციაში, რომლის წარმოშობისაც ჰიტლერელებს ყველაზე მეტად ეშინოდათ. ჰიმლერის დანიშვნა მოწმობს, რომ იზრდება ფაშისტური ხროვის შეშფოთება ბურგის მდგომარეობის გამო, რომ იგი დარწმუნებული არ არის იმაში, რომ გერმანიის ზურგს შეუძლია იტალიის გაჭიანურებული ომი.

გავიდა ის დრო, როდესაც გებელსი ჯერ კიდევ ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ „1918 წლის გერმანელი ხალხისათვის გამონაკლისი იყო და ეხლა წესი“. მთელი მსოფლიო ხედავს, რომ გამანადგურებელი დარტყმები წითელი არმიისა გერმანიის მთავარი ძალების წინააღმდეგ ფრონტზე, აგრეთვე მოკავშირეთა საჰაერო შეტევა გერმანიის წინააღმდეგ ძირს უთხრის გერმანელი ხალხის მორალურ მდგომარეობას და, მაშასადამე, ასუსტებს გერმანიის თავდაცვისუნარიანობას.

ჯერ კიდევ 1936 წელს ჰიმლერი სწერდა, რომ თუ ომის დროს პროპაგანდა ვერ შესძლებს უზრუნველყოს მოსახლეობის მორალური მდგომარეობის შენარჩუნება სათანადო სიმაღლეზე, ყველაზე ქმედითი საშუალებანი იქნება „ულმობელი დისციპლინის შემოღება და პირდაპირი დაშინება“, ე. ი. ტერორის ფართოდ გამოყენება. „ვინაიდან, — სწერდა ჰიმლერი,—ომის შემთხვევაში გერმანიის ბედ-იღბალი საშინაო ფრონტზე გადაწყდება“.

გებელსის პროპაგანდისტული იარაღი ამჟამად აშკარად დაჩლუნგდა. როდესაც სტალინგრადის კატასტროფის შემდეგ გერმანიაში გამოცხადებულ იქნა „ტოტალური მობილიზაცია“, ამ მობილიზაციის მოტორთან ჰიტლერმა გებელსი დააყენა. მისი პროპაგანდისტული მანქანა გაშმაგებული ტემპით ამუშავდა. გებელსი მაშინ ამბობდა, რომ „სულის ტოტალური მობილიზაციით“ იგი შეჰქმნის წინაპირობებს ადამიანთა და მატერიალური რესურსების მობილიზაციის ჩატარების დასაჩქარებლად. მაგრამ გებელსის მოტორმა სწრაფად იწყო მუშაობის შენელება იმ დამარცხებათა გავლენით, რაც გერმანიამ განიცადა. რასაც ვერ მიაღწია გებელსმა თავისი პროპაგანდით, იმის მიღწევას ახლა ცდილობს ჰიმლერი გერმანელი ხალხის ფართო მასების წინააღმდეგ მიმართული უსასტიკესი ტერორის დახმარებით. გერმანიაში უკმაყოფილონი მილიონობით არიან. მაგრამ ისინი ჯერ კიდევ პასიურნი არიან. და ჰიმლერის ამოცანაა ამ მასების ტერორიზება.

სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის ორმა წელმა გერმანიის „საშინაო ფრონტის“ მდგომარეობაში მკვეთრი ცვლილებები შეიტანა და ძირი გამოუთხარა მის სიმტკიცეს. ფაბრიკა-ქარხნებში ძლიერდება საბოტაჟი და დივერსიები. გერმანიის გაზეთების სასამართლო ქრონიკა სულ უფრო და უფრო ხშირად ეუწყება სიკვდილით დასჯის განაჩენების შესახებ, რაც ფაშისტურ სასამართლოებს გამოაქვთ „გერმანიის სამხედრო ღონისძიებათა ძირის გამოთხრის ცდებისათვის“. ეს გვიჩვენებს, რომ იზრდება იმ პირთა რიცხვი, რომლებიც გერმანიის ხსნას ხედავენ ჰიტლერული რეჟიმის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლაში მისი რაც შეიძლება სწრაფად დამხობის მიზნით. სწორედ ასეთი ბრძოლისაკენ მოუწოდა გერმანელ ხალხს ნაციონალურმა კომიტეტმა „თავისუფალმა გერმანიამ“.

ჰიმლერი და გესტაპო—ეს არის ჰიტლერის უკანასკნელი საშუალება, რომ გაანგრძლიოს თავისი განწირული რეჟიმის არსებობა. ჰიტლერი ითვალისწინებს იტალიის გამოცდილებას. ჰიმლერის დანიშვნით იგი ცდილობს უჩვენოს მთელ მსოფლიოს, რომ გერმანიაში ფაშისტური რეჟიმი უბრძოლველად არ დანებდება და რომ წინასწარ იღებენ ზომებს, რათა არ გამოჩნდეს გერმანელი ბადოლიო. ამ აზრით ჰიმლერის დანიშვნა ერთგვარი რეაქციაა იტალიაში მომხდარ ამბებზე.

მთავარი მიზეზი „საშინაო ფრონტზე ძალთა კონცენტრაციისა“, რასაც ჰიტლერი აპირებს, მდგომარეობს გერმანიის არმიის მიერ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე განცდილ დამარცხებებში. გერმანელი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლის უკიდურეს ზომებზე გადასვლით ჰიტლერი ობიექტურად ჰქმნის პირობებს, რომელთა დროსაც გარდუვალია შინაპოლიტიკური მდგომარეობის შემდგომი გამწვავება გერმანიაში. ჰიტლერული ზურგის მორალურ-პოლიტიკური დასუსტება დიდი მნიშვნელობის ფაქტორია მტრის განადგურების საქმეში. ამ ფაქტორის მოქმედება მნიშვნელოვნად შეიძლება გაძლიერდეს თუ მტერს დასავლეთიდანაც ისეთსავე ძლიერ დარტყმებს აგებენენ, როგორსაც მას აღმოსავლეთში წითელი არმია აგებენს.

კ. ბოგომანი

„კრასნაია ზვეზდა“, 28 აგვისტო.

ქალებისა და ვაჟების ცალცალკე სწავლება

საბჭოთა სკოლის განვითარების ისტორიაში ქალ-ვაჟთა ცალცალკე სწავლების გატარება წარმოადგენს უაღრესად სერიოზულ ღონისძიებას. მას დიდი მნიშვნელობა აქვს სასწავლო-საალმზრდელო საქმის ახალ საფეხურზე აყვანისათვის.

არასრული საშუალო და საშუალო სკოლების ქსელი ჩვენში დიდად გაიზარდა. კერძოდ, ქალაქ თბილისში საშუალო სკოლების ქსელი ისე დიდია, რომ მთლიანად უზრუნველჰყოფს საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელებას საშუალო სკოლის ფარგლებში. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა დიდი რაოდენობა, როგორც ცნობილია, მიდის სამუშაოდ საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სხვაგან. ამ გარემოებამ კარგახანია ჩვენი სკოლის წინაშე დაყენა საკითხი არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში სწავლა-აღმზრდელობითი მუშაობის ისე გარდაქმნისა, რომ ის ახალგაზრდა, რომელიც ამ სკოლის კურსს ამთავრებს, პრაქტიკული საქმიანობისათვის ერთგვარ მომზადებას ღებულობდეს. საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხ. მოლოტოვმა აღნიშნა, რომ საშუალო სკოლის მოსწავლეებმა უნდა ძიიღონ, თუნდაც რამდენადმე, მომზადება მომავალი პრაქტიკული მუშაობისათვის.

პრაქტიკული საქმიანობისათვის ვაჟების მომზადება განსხვავდება ქალების პრაქტიკული მომზადებისაგან.

ვაჟებმა უნდა მიიღონ სახელოსნო ჩვევები (ელექტრომექანიკის მცირე რემონტი, საბინაო ნიეთების რემონტი და სხვ.), ხოლო ქალებმა იცოდნენ ხელსაქმე, მეოჯახეობა, პედაგოგიკა. ბავშვთა მოვლა და სხვ.

მიმდინარე წლის 1 იანვრიდან დაწყებითი, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში შემოღებულ იქნა მოსწავლეთა დაწყებითი სამხედრო - ფიზიკური და წვევამდე სამხედრო მომზადება, რომლის მ